ოქმი:**ო12. 3725206001**

თარიღი:**25/07/2025**

ოქმი N 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 25 ივლისი
ქ.ოზურგეთი
14 :00-14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ხ. ცერცვაძე, ნ. ღაჟონია, ე. გორდელაძე, ვლ. ხავთასი, ბ. მელუა, ნ. ჭანიშვილი, ხ. თავდიშვილი, გ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი
თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის საკითხი, აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანა ხდება მუნიცპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ინიციატივით და იგი კიდევ უფრო გააუმჯობესებს ბენეფიციართათვის სერვისების მიწოდების ხარისხს. კომისის წევრებს დადგენილებაში შესატან კონკრეტულ ცვლლებებზე ესაუბრა მ. ცელაძემ. კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი